ლიზაციაში! განამტკიცეთ შრომითი და საზოგადოებრივი დისციპლინა! მტკიცედ დაიცავით მშრომელთა ინტერესები, გან-
აუმჯობესეთ მათი შრომისა და ყოფის პირობები!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

11 ოქტომბერი, კვირა 1987 წ.
№ 195 (9606) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში

● დღეს „ლელოს“ მკითხველების სტუმარია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოთარ მეღვინეთ-უხუცესი — მე-2 გვ.

● თბილისის „დინამო“ და დინამოელთა მატჩი ბულგარეთის პრესაში — მე-3 გვ.

● შუმახერის დაბრუნება—მე-3 გვ.

● სსრ კავშირის თასის მფლობელი ქუთაისელი რეგბისტები ჩემპიონობასაც უმიზნებენ — 1-4 გვ.

ბარი კასპაროვ — ანატოლი კარპოვის მატჩი ჰადრაკში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის

„ლოპე დე ვეგას“ სცენაზე

გუშინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა ექსპერტების აზრი კასპაროვ-კარპოვის მატჩის შესახებ, რომელიც ტელეფონით გადმოგვცა სევილიაში მატჩის პრესცენტრის ხელმძღვანელმა თამაზ გიორგაძემ.

გუშინ დილით თამაზ გიორგაძე რედაქციაში კვლავ დაგვიკავშირდა და გვაცნობა, რომ თანამედროვეობის ორი უძლიერესი მოჭადრაკის ახლანდელი მატჩი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მთელ მსოფლიოში. ესპანეთიდან დედამიწის ყველა კუთხეში გადაიცემა რეპორტაჟები. პრესცენტრი უკვე შეუდგა მუშაობას. მასპინძლებს უდიდესი შრომა გაუწევიათ. თითქმის მთლიანადაა განახლებული საჭადრაკო მდელვარების ეპიცენტრი — „ლოპე დე ვეგას“ თეატრი, სადაც მატჩი ჩატარდება. ორივე მოჭადრაკემ დარბაზს მაღალი შეფასება მისცა. პირველ ხუთ პარტიაში მაყურებელთა კონტიგენტი შეზღუდული იქნება, შეექვსე პარტიიდან კი თამაშზე დასწრების მსურველთა რიცხი გაიზრდება. გათამაშებული პარტიების ანალიზისთვის მატჩზე მოწვეული არიან მსოფლიოში ცნობილი დიდოსტატები. არ ჩამოვიდა მხოლოდ ბობი ფიშერი.

მინდა გითხრათ, რომ თვით ესპანელები ყველაფერს აკეთებენ, რათა ეს მატჩი ესპანელ ბავშვთა შორის ჭადრაკის პოპულარობისათვის გამოიყენონ. მთავრობა მხარს უჭერს ყველა ღონისძიებას, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჭადრაკის სპორტის საყოველთაო სახეობად აღიარებას. სევილიაში უკვე ჩამოვიდნენ ცნობილი შომღერლები და მოცეკვავეები, ფოლკლორული ანსამბლები, რომლებიც მატჩის კულტურული პროგრამით კონცერტებს გამართავენ. დღეს, 10 ოქტომბერს, საღამოს, „ლოპე დე ვეგას“ თეატრში მატჩის საზეიმო გახსნის შემდეგ სცენაზე გამოვა ცნობილი გიტარისტი მანოლო სანლუკარი.

სინოპტიკოსები ვარაუდობენ, რომ ჰაერის ტემპერატურა სევილიაში ოქტომბერში ნორმის ფარგლებში —22-24 გრადუსი იქნება. ამ ფაქტორს აქ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

პირველი პარტია გათამაშდება ორშაბათს, 12 ოქტომბერს, 17 საათზე, თბილისში ამ დროს 20 საათი იქნება.

თამაზ გიორგაძე,
„ლელოს“ სპეც. კორ.
სევილია, 10 ოქტომბერი.
ტელეფონით.



როგორც ვიუწყებოდით, ამ დღეებში გაგრაში ბზიფის ახალ იპოდრომზე ჩატარდა საქართველოს ღია ჩემპიონატი ცხენოსნობაში. ცხენის გაწვრთნაში „დიდი პრიზი“ ვეტერანმა მხედარმა, საქართველოს სპორტსახკომის თბილისის საცხენოსნო სპორტული ბაზის მწვრთნელმა იუნონა კოფინამ დაისაკუთრა. იუნონა კარგა ხანია ბავშვებთან მუშაობს. მისი შეგირდები წარმატებით გამოდიან სხვადასხვა შეჯიბრებებში, რამდენიმე გოგონა კი ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრია.

სურათზე: საქართველოს 1987 წლის ჩემპიონი ცხენის გაწვრთნაში, სპორტის ოსტატი იუნონა კოფინა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

+1 ვანს შეემატა

ქარბი საჩუქარი მიიღეს ვანის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა. რაიონის ხელმძღვანელთა აქტიური მზრუნველობითა და დახმარებით სულ ახლახანს ქალაქის სპორტული კომპლექსის გვერდით მწყობრში ჩადგა სპორტული სკოლის თანამედროვე სტილით აგებული ახალი ნაგებობა, რომელიც „საქაგრომშენის“ სამტრედიის № 2 სამშენებლო ტრესტის ვანის № 46 მოძრავ-მექანიზებული კოლონის (უფროსი ს. ქომუცაძე, სამუშაოთა მწარმოებელი გ. გიორგაძე) კოლექტივმა ააგო.

აქ შესაძლებელია მაღალ დონეზე ჩატარდეს შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, მინიფეხბურთში და სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

მშენებლობაზე კარგად იმუშავეს და მადლობას იმსახურებენ: ნუგზარ აბრამიძე, გრიგოლ ბელთაძე, სიმონ ცხვარაძე, თემურ გიორგაძე და სხვები.

იორამ ნიკოლეიშვილი,
„ლელოს“ კორ.

„ლელოს“ პრიზზე

შეტანილია დოსაააფის საკავშირო კალენდარში

გუშინ, თბილისში, რიყეზე და კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში დაიწყო საკავშირო შეჯიბრება ავტომობილო სპორტში გაზეთ „ლელოს“ პრიზზე. ეს შეჯიბრება წელს პირველად ტარდება, მაგრამ იგი უკვე შეტანილია დოსაააფის ცენტრალური კომიტეტის საკავშირო კალენდარში და ამიერიდან ყოველწლიურად სეზონის დასასრულს, ოქტომბერში გაიმართება.

ამჯერად თბილისში მხოლოდ ხუთი გუნდი ჩამოვიდა — თბილისის, ბათუმის, ხმელნიცკის, ერევნისა და ვილნიუსის. მოასპარეზეთა შორის, თუ არ ჩავთვლით მასპინძელთა ძლიერ კოლექტივს, არიან საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ჰენრიხ ვისოცკასი და წლევანდელი საერთაშორისო შეჯიბრების გამარჯვებული რიმას მიხნიავიჩუსი (ორივე — ვილნიუსი).

ასპარეზობები ჩატარდება ავტომოდელების თერთმეტ კლასში: 6 საკორდო და 5 რადიოსამართავში.

სპორტის ამ საინტერესო სახეობის მოყვარულებს დღეს შეუძლიათ რიყეზე ფინალური ასპარეზობები ნახონ. შეჯიბრება 11 საათზე დაიწყება. აქვე გაიმართება რადიოსამართავი მოდელების რბოლა.

სიახლეთა ესტაფეტა

„რიტმი“ — ასე ჰქვია ახალ სპორტულ კლუბს, რომელიც ახლახან გაიხსნა აშხაბადში. კლუბი აერობიკაზე მოზარდებს, რომლებიც მხოლოდ გამჯანსაღებელი რბენით არიან გატაცებულნი. კლუბში ამჟამად 65 წევრია. ახლო მომავალში მოეწყობა პირველი გადარბენა მარმარუტით: ბაგირ-აშხაბადი, რომლის სიგრძე 16 კილომეტრია.

ელვა-ინფორმაცია

ჩელიაბინსკში დამთავრდა პროფკავშირთა საკავშირო პირველობა ხელბურთში. საქართველოს ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ჭაბუკთა გუნდმა ამ შეჯიბრებაზე პირველი ადგილი დაიკავა.

ქარბ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი: ამერიკავკასიის რესპუბლიკების მოსწავლეები სპორტის სხვადასხვა სახეობებში ყოველწლიურად შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ბავშვებმა პირველად სპორტულ აკრობატიკაში მოსინჯეს ძალა. ამ შეჯიბრების შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

სურათზე: ჯგუფურ ვარჯიშში გამარჯვებული თბილისელი აკრობატები ვილი ვართანოვი, აფანასი იანკოვი, სტანისლავ პეტროვი და იოსებ თუთბერიძე.

ჯემალ კახრაძის ფოტო.

სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში ● სუპერფინალი

შეუძლებელი უნდა შეძლოს

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონის მთავარი მოედანი. 9 ოქტომბერი. 7 ათასი მაყურებელი.

„მშენებელი“ (ქუთაისი) — სამხედრო საჰაერო აკადემია (მონინო) 10:0 (3:0).

„მშენებელი“: ხამაშურიძე; ლიპარტელიანი, ნემსიწვერიძე, ხარშილაძე, ძოწენიძე (ტორეოლიანი); მაჩიტიძე (გიორგაძე), ლოსაბერიძე; ობოლაძე, ტურძელაძე (დეისაძე), ლილუაშვილი (გაბუნია), ოდიშარია, გრიგალავა, შვანგირაძე, ნაჭყებია, ფხაკაძე.

სსა: მირონოვი; სალავათოვი, ნეჩაევი, რომანოვი, ვინოხოდოვი; კორნიენკო (ბობროვი), ფრანცუზოვი, ბორიხოვი, ივანოვი, პერეპიოლკინი, ლუკიანოვი, ტიხონოვი, კუშნარიოვი, სოროკინი (მასლიაკოვი), ოვჩინიკოვი.

მსაჯი იური კიიანოვი (მოსკოვი).

გოლები: მაჩიტიძე — 2 არეკნი (26, 44), ნაჭყებია — ლელო (54).

ქუთაისელთა და მონინოელთა პირველ სუპერფინალურ მატჩს თავისი ქვეტექსტი ჰქონდა. პარასკევს მეტოქენი წლეულს უკვე მეექვსედ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს და თუ თასის გათამაშების ფინალურ მატჩს არ მივიღებთ მხედველობაში, რომელიც ქუთაისელთა დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა, ქართველ რეგბისტებს წინა მატჩებიდან ცოტა რამ ჰქონდათ სასიამოვნო მოსაგონარი. საქმე ისაა, რომ ჩემპიონატის ოთხი შეხვედრიდან სამი მონინოელებმა მოიგეს, ქუთაისში გამართულ ბოლო მატჩში კი, რომელიც მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, სტუმრებმა ფრეს მაინც მიაღწიეს, თუმცა ეს დებულების დარღვევის ხარჯზე მოახერხეს, რისთვისაც მოგვიანებით საკადრისადაც დაისაჯნენ. ქუთაისელ რეგბისტებს არც უკანდასახევი გზა ჰქონდათ: რადაც უნდა დასჯდომოდათ, უნდა გაემარჯვნთ, ვინაიდან საპასუხო შეხვედრაში, მონინოელთა მოედანზე რომ გაიმართება 12 ოქტომბერს, გუნდს ძნელი გამოცდა ელის. ასე იყო თუ ისე, მასპინძლებს სრულად ჰქონდათ შეგნებული პირველი სუპერფინალის მნიშვნელობა და კარგი თამაშით მეტოქეს წარმატების მოპოვების ყოველგვარი შანსი გადაუწურეს.

სანახაობრივად მატჩი, განსაკუთრებით მისი პირველი ნახევარი, მეტოქენი თავიდანვე ფრთხილობდნენ, შეცდომების დაშვების ეშინოდათ. ძლიერი ქარიც ერთთავად ფუშავდა მოთამაშეთა ზრახვებს. თამაშის ამგვარი მსვლელობა მონინოელთა წისქვილზე ასხამდა წყალს. დაძაბულობამ მასპინძლები ერთობ შებოჭა... პირველი ოცი წუთის მანძილზე მეტოქეები აუტიდან მოწოდებულ ბურთს ერთთავად მოედნის ფარგლებს გარეთ გზავნიდნენ. ერთი სიტყვით, სტუმრებმა მასპინძლები უცეცხლო თამაშში აიყოლიეს. მასპინძელთა საჭეს ისიც ართულებდა, რომ შეუწყნარებლად სცოდავდნენ ქუთაისელთა მცველი, მარცხენა ფრთის სამმეოთხედელი (პოზიციას სწორად ვერ



მიმზიდველი არ გამოდგა. მეტოქენი თავიდანვე ფრთხილობდნენ, შეცდომების დაშვების ეშინოდათ. ძლიერი ქარიც ერთთავად ფუშავდა მოთამაშეთა ზრახვებს. თამაშის ამგვარი მსვლელობა მონინოელთა წისქვილზე ასხამდა წყალს. დაძაბულობამ მასპინძლები ერთობ შებოჭა... პირველი ოცი წუთის მანძილზე მეტოქეები აუტიდან მოწოდებულ ბურთს ერთთავად მოედნის ფარგლებს გარეთ გზავნიდნენ. ერთი სიტყვით, სტუმრებმა მასპინძლები უცეცხლო თამაშში აიყოლიეს. მასპინძელთა საჭეს ისიც ართულებდა, რომ შეუწყნარებლად სცოდავდნენ ქუთაისელთა მცველი, მარცხენა ფრთის სამმეოთხედელი (პოზიციას სწორად ვერ

იხ. მე-4 გვ.

გულშემატკივრის კუთხე

ეზიად ვარო მეორე რევანში—სათვის...

ერთხელ, რაღაც პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით დოდო ალექსიძეს ვესტუმრე. მახსოვს, ბატონი დოდო აღტაცებას ვერ მალავდა: თეატრალურ ინსტიტუტში სამი მეღვინეთუხუცესი ჩაირიცხაო. მოგეხსენებათ ჩვენი პროფესიული ცნობისმოყვარეობის ამბავი და მაშინვე თეატრალურ ინსტიტუტში გავიქეცი. თან გონებაში ჩემი მომავალი პუბლიკაციის „ოთხი მეღვინეთუხუცესი“ პირველ კონტურებს ვხაზავდი. გადავიკითხე ინსტიტუტში ჩარიცხულთა სიები ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მაგრამ სამი კი არა, ერთი მეღვინეთუხუცესის გვარიც კი ვერსად ვნახე. დარეკვა ვეღარ გავბედე, მეუხერხულა. ვიცოდი ბატონი დოდოს იუმორის ამბავი და ჩავთვალე, რომ შემთხვევით წამოვეგე მის ანკესზე, მოგვიანებით, ერთ-ორი წლის შემდეგ, როცა იმ წელს ჩარიცხული სტუდენტები ახლოს გავიცანი. მხოლოდ მაშინ გახდა ჩემთვის ნათელი დოდო ალექსიძის სიტყვების მნიშვნელობა. ფორმულა ძალიან მარტივი ყოფილა — უბრალოდ, ოთარ მეღვინეთუხუცესი თეატრალურ ელიტაში ათლეტიზმის სინონიმად ითვლება.

ს ხვისი არ ვიცი, მე კი როცა შემთხვევით მარჯანიშვილის თეატრის კულისებში მოვხვდები, სულ იმის მოლოდინში ვარ, აგერ ახლა გამოვა ვასო გოძიაშვილი თავისი ამალით, ჟორჟოლიანი, კვანტალიანი, ქალბატონი სესილია, ვერიკო და ატყდება სიცილ-ხარხარი. თბილი, განუმეორებელი თეატრია მარჯანიშვილი...

საგრიმიოროში ორი ნათურა ბუუტავს. აგერ დაბრძანდით სინათლესთან, უკეთ დაინახავთ — მეუბნება მასპინძელი. არ ვთანხმდები, ვარჩევ სინათლესთან მსახიობი იჯდეს... შემდეგ თვალი გადამწვარი ნათურებისკენ გამირბის, მსახიობთა ხარკებთან რომ ატუზულან — გული მიკვდება.

სიჩუმეს ვერ ვარღვევ. თანამოსაუბრე ამ წუთას არც საქართველოსა და აფხაზეთის მეფეთმეფეს ჰგავს, არც ჰამლეტს და არც დათა თუთაშხიას. მათ არაფრით ჩამოუვარდება კიდევ ერთი, თვითმყოფადი, თანამდევი სახე, რომელსაც იგი არასოდეს თამაშობს, რადგან ის თვითონ მასშია. ასეთად წარმომიდგენია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ოთარ მეღვინეთუხუცესი, კაცი, რომელიც თბილისში დადის, კაცი, რომელსაც პატივს სცემს თბილისი.

● ამბობენ სერგო ზაქარიაძე მშვენიერი ფეხბურთელი ყოფილაო, ზურაბ სოტკილავა — დიდებული, ოთარ მეღვინეთუხუცესი კი...

— არ არის სწორი მაგი, არ ყოფილა მეღვინეთუხუცესი დიდი სპორტსმენი, მაგრამ სპორტის დიდი თაყვანისმცემელი და მოტრფიალე რომაა, ვერც ამას გაექცევა კაცი. კრივი მიყვარდა ბავშვობაში ძალიან, ერთხელ საქართველოს ჩემპიონსაც ვძლიე ვარჯიშის დროს, ეს იყო და ეს. მერე ცურვას მივსდიე ერთხანს, ნაკოებშიც ამიყვანეს, მაგრამ რად გინდა, სწავლას ვერ მოვპარე დრო. მეათე კლასში ვიყავი მაშინ და ხომ იცით. ჰოდა, დავრბივარ ახლა კუს ტბაზე ყოველდღე, მაგრამ, რამდენიც არ უნდა ირბინო, აწი ვერც სპორტსმენი გახდები და ვერც ბავშვობის დროინდელ ოცნებას დაეწევი. მაგრამ არც ის უნდა იყოს პატარა საქმე, ავადმყოფობა რომ ვერ დაგეწევა. ჯანმრთელი კაცი მეტად სჭირდები ქვეყანასაც და შენს ერსაც.

● ცხენოსნობაზე ყოფილხართ მწყურალად...

— ორჯერ გადმომაგდო ცხენმა და ათჯერ უფრო მეტად შემიყვარდა შემდეგ. ალბათ, ეს გინდოდათ გეთქვათ?..

დიდებული რამაა ცხენი. ვერცერთ ცხოველს ვერ შეადარებ. ხომ ამბობენ ძაღლი უფრო ერთგულია ადამიანისო, მაგრამ არ მჯერა მე ეგ. შეჩვევა იცის ცხენმა, ისეთი შეჩვევა, რომ სულ დაგავიწყებს ყველაფერს.

● ამბობენ „დათა ბატონი“ ისე გადაიღეს ფილმში, კასკადიორი არ დასჭირვებიაო...

— არც მაგია სწორი. ტრიუკებს ვაკეთებდი კი, როგორ არა. მაგრამ, თუ გახსოვთ თქვენ, არის იქ რთული მომენტები, კასკადიორის შესრულებული ეგენი და რად დაიბრალო მე. ესეც რომ არ იყოს, ჯრანსკის სიკვდილის შემდეგ, მსახიობებს რთული ტრიუკების შესრულების უფლებას აღარ აძლევენ უკვე.

● მსახიობი და სპორტი — როგორ ავსებს ურთიერთს ეს ორი ცნება?

— ტერმინის ახსნა შინაარსში უნდა ვეძიოთ. ალბათ, შორს ვერ წავა მსახიობი თუ მწყურალადაა სპორტთან. ხომ არსებობს სპორტის სახეობა „ხუთჭიდი“. მსახიობს კი „ათჭიდი“, „კუნჭიდი“ სჭირდება. დღეს ვერ წარმომიდგენია კინომსახიობი სპორტის გარეშე. თეატრში კი, უბრალოდ, ვერ გაუძლებ ამდენ დატვირთვას.

● ვერაზე ერთი პარკია. გამიგონია ხშირი სტუმარი ყოფილხართ მისი?

— კიროვის პარკზე ამბობთ, ალბათ... მარტო მე კი არა, მთელი ვერა და თბილისელები იმ პარკში გაიზარდნენ. რამდენი ვაჟკაცი აღუზარდა ქართულ სპორტს ამ ერთი ციცქნა ბალმა. სად იყო მაშინ ამდენი დარბაზები, მაგრამ სიყვარული იყო სამაგიეროდ. დღევანდელ თაობას რომ აკლია ენინი, ეს ჰქონდათ მაშინ. განცხრომამ და კეთილდღეობის სურვილმა იმატა ახლა. რაც შეიძლება მეტად გინდა დატკბე ცხოვრებით. ვერის პარკში ჯორჯიკიასა და ქორქიას თამაშისთვის რომ გეცქირა კაცს, როგორ შეიძლება მათი ენინი, მათი აზარტი არ გადაგდებოდა.

● ერთმა ჩემმა კოლეგამ თქვა: გერმან ზონინს დათა თუთაშხია მიუწვევია თურმე „დინამოშიო“...

— რაო, მერე რა უთხრა დათამ?

● არ ვითამაშებ „დინამოში“, გაუშვებენ ბურთს და დამბრალდიან მეო.

— დათასი რა გითხრათ, მარა, სტადიონის ტრიბუნებს რომ ვუყურებ, ხშირად მინატრია ამდენი მაყურებელი ჩვენც მოგვცა-მეთქი.

● ესე იგი ხშირად დადიხართ სტადიონზე?

— „სტანდარტთან“ მატჩის შემდეგ აღარ ვყოფილვარ სტადიონზე. მაგრამ, ეს იმას კი არ ნიშნავს ფეხბურთს განვუდექი. არავის ეგონოს ვინმეზე ნაკლები გულშემატკივარი ვიყო. ერთი ზნე მჭირს ცუდი — ემოციური ვარ ძალიან, ჰოდა, ისე რომ არ გამოდის საქმე როგორც ჩვენ გვინდა, ვასკდები გულს. ჩემს თავს ვინ დაეძებს, მაგრამ იმისი მერიდება გვერდით მჯდომი არ შევაწუხო. მახსოვს იმ საბედისწერო დღეს, „სტანდარტს“ რომ ვხვდებოდით, ვერ იქნა და ვერ ამოვნებით ვიხსენებ ყველას. დიდ ხელოვნებას, დიდ საქმეს, არასოდეს უწერია დავიწყება. სხვა საქმეა ის, თუ ჩვენ რას ვაძლევთ ამ ხალხს სანაცვლოდ. გამიგია და ვწერთ ხოლმე ხშირადაც; ამა და ამ ფეხბურთელმა მომხმარებლური დამოკიდებულება გამოიჩინაო. მოდით, ჯერ ის გავარკვიოთ, რატომ ხდება ასე? იმიტომ ხომ არა, რომ მშვენივრად იცის წავა ფეხბურთიდან და... შეიძლება აღარავის გაახსენდეს, ამიტომ ცდილობს, რაც შეიძლება მეტი წაიღოს მანამ, სანამ ჭირდება ვინმეს. ჩვენი ბრალია ეს, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ბავშვობიდან რომ დასდევ ბურთს კაცი, განა ეს პროფესია არ არის?! შენს საუკეთესო წლებს, ასკეტივით საწვრთნელ ბაზაზე რომ ატარებ, ეს არ არის საქმის სიყვარული?! ჰოდა, ნუ გაუჩენთ ამ კაცს სხვა საფიქრალს, მიხედოს თავის ფეხბურთს და ნუ დავაწყებინებთ სიბერისათვის ზრუნვას. წავა ფეხბურთიდან და დავუნიშნოთ პენსია, იმის საფასური, რაც გაიღო იმ კაცმა, ასე არ ვექცევით ბალეტის მოცეკვავეებს, ნუ შეგვაშინებს სიტყვა — პროფესიონალი. თავისი სახელი უნდა ერქვას ყველაფერს. მარჯანიშვილის ფეხბურთელთა გუნდს შეიძლება დაუძახო მოყვარული, თავისუფალ დროს რომ ითამაშებ ფეხბურთს. თორემ, 20 წელი რომ სდიო ბურთს სიყვარულით, ფანატიკოსი უნდა იყო მაშინ.

● ფეხბურთი, რაღაც უფრო მეტს ნიშნავს ჩვენთვის...

— კი ბატონო, ფეხბურთი მარტო სპორტი არ არის... 4 მილიონი ქართველი, რომ თერთმეტ კაცს დაუწყაუს ყურება, სხვა რაღაცაში უნდა იყოს საქმე. ერის სიძლიერეს ვეძებთ ამ თერთმეტ კაცში, ჩვენი ხასიათის, ჩვენი ქართველობის ძარღვებს ვეძებთ მასში. აი, რატომ გვიყვარს ასე ფეხბურთი. ცუდიც სჩანს მასში და კარგიც! ავიღოთ ახლო წარსული „დინამო“. ხომ მოიპოვა ევროპის თასი. როგორ აირეკლა მასში ჩვენმა ხასიათმა. ერთი ცუდი ზნე გვჭირს ქართველებს, ძალიან ცუდი: თუ მწვერვალზე ავედით, იმ წუთას მოვინდომებთ ხოლმე ვარსკვლავების მოწყვეტას, და ამ ვარსკვლავებთან თამაშში, ისე დაგვახათებს მზე და ისე აღმოვჩნდებით ხოლმე ხელოვნურნი, რომ ვერც ვერკვევით რაში იყო საქმე. ამ ხუთიოდე წლის წინათ ერთმა ჩემმა ნაცნობმა მსახიობმა მითხრა: როცა ჩვენმა თეატრმა იმუშაუნა, ხომ ყველაფერი გავაკეთეთო, მაშინ წახდა ჩვენი საქმეო. ხომ არსებობს კიდევ სხვა მწვერვალები, უფრო დიდი და უფრო ბრწყინვალე. იქ ასვლა რომ გავიწყდება ხოლმე ამაშია ჩვენი უბედურება. ვერ ვუტყდებით ჩვენ თავს იმაში, რომ რაც არ უნდა ლამაზი იყოს თეთნულდი, ჯომოლუნგმო უფრო მაღალია მასზე, და









● ჩამოკიდებ კედელზე ბუცებს და აღარც მაყურებელი დაგიკრავს ტაშს და აღარც მეღვინეთუხუცესი შეგყვირებს — „ვერცერთი!“...

— კი, მასეა, მაგრამ რა დამავიწყებს ან მე, ან ჩვენს, ბორის პაიჭაძეს, გაიოზ ჯეჯელავას! ბავშვი ვიყავი მაშინ, ახლაც თვალწინ მიდგას როგორ თამაშობდნენ ეს ვირტუოზი ფეხბურთელები. ჩვენი საჯარიმო მოედნიდან რომ წამოიღებდა ბურთს ბატონი ბორისი, ისე მეგონა, ფეხზე აქვს ბურთი მობმული, ცეცხლივით შევარდებოდა ხოლმე მეტოქეებში. გული უნდა, გული ფეხბურთის თამაშს. ანდა ოქროს ბიჭები აიღეთ, ეს ხომ ჩვენი თაობაა—მეტრეველი, მესხი, იმანიძე, სიჭინავა, ბარქაია, ხურცილავა, ჩოხელი, კალოევი — რა ბიჭები გვყავდა, რა ვაჟკაცები! ასე მეგონა, ტანკი დადის მინდორზე და გადაუვლის ყველასო. თუ მოვინდომებდით არავინ იყო ჩვენი მძლე მაშინ. ასე რომ, დღესაც დიდი სირგიც! ავიღოთ ახლო წარსული „დინამო“. ხომ მოიპოვა ევროპის თასი. როგორ აირეკლა მასში ჩვენმა ხასიათმა. ერთი ცუდი ზნე გვჭირს ქართველებს, ძალიან ცუდი: თუ მწვერვალზე ავედით, იმ წუთას მოვინდომებთ ხოლმე ვარსკვლავების მოწყვეტას, და ამ ვარსკვლავებთან თამაშში, ისე დაგვახათებს მზე და ისე აღმოვჩნდებით ხოლმე ხელოვნურნი, რომ ვერც ვერკვევით რაში იყო საქმე. ამ ხუთიოდე წლის წინათ ერთმა ჩემმა ნაცნობმა მსახიობმა მითხრა: როცა ჩვენმა თეატრმა იმუშაუნა, ხომ ყველაფერი გავაკეთეთო, მაშინ წახდა ჩვენი საქმეო. ხომ არსებობს კიდევ სხვა მწვერვალები, უფრო დიდი და უფრო ბრწყინვალე. იქ ასვლა რომ გავიწყდება ხოლმე ამაშია ჩვენი უბედურება. ვერ ვუტყდებით ჩვენ თავს იმაში, რომ რაც არ უნდა ლამაზი იყოს თეთნულდი, ჯომოლუნგმო უფრო მაღალია მასზე, და ნამოელებისაგან, რომ ახალაცი მათ „რავალთარ“ ანგარიშს არ უნდა. განა ბიჭებს დიდ ბელადებს თეატრი, თუ რეჟისორი ყველა წარმატებას თავთან მიიწერს და დიქტატორულ ბაზას დადგებიან.

— უხმოდ უნდა ესმოდეთ ერთმანეთის რეჟისორსა და მსახიობს. ჯობის დისციპლინით ვერაფერს მიაღწევ. სიყვარულსა და პატივისცემას ძალით ვერ მოიპოვებ კაცი, თვითონ უნდა მოვიდეს იგი შენთან. ასეა თეატრში და ასე უნდა იყოს ალბათ, ფეხბურთშიც.

● ამ ბოლო დროს ქართულ ფეხბურთში ერთგვარი „ბოშური ცხოვრების“ წესი დამკვიდრდა: ერთი და იგივე ფეხბურთელს ზოგჯერ წელიწადში ორჯერ, ორ სხვადასხვა გუნდშიც ნახავთ.

— ყველა თევზს თავისი წყალი სჭირდება, კალმახი რომ გაუშვა სხვა მდინარეში, რა გამოვა ამით. თვითონ უნდა იცოდე კაცმა რისი ძალა შეგწევს და რისი გაკეთების უნარი გაქვს. თავის დროზე, დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრი რუსთაველის თეატრს გამოეყო, მაგრამ ჰქონდა ამას გამართლება — ვეღარ დაეტია თეატრში ამდენი ნიჭიერი კაცი. ახლა რომ საქართველოს ყველა საუკეთესო მსახიობს ერთ დასში მოუყაროთ თავი, იზარალებს ამით, ალბათ, ხელოვნება. როლი თუ არ ექნა მსახიობს და არ ითამაშა, რაღა მსახიობია მაშინ. ასეა ფეხბურთშიც. არა მგონია კარგი საქმე მოგვიტანოს ქუთაისის „ტორპედოს“ დაშლამ. იმ თერთმეტი კაციდან, გუნდიდან რომ წაიყვანეს, ორი თუ თამაშობს ახლა. მწვრთნელი იქნები თუ რეჟისორი, კაცი რომ მოგყავს შენთან, ისიც უნდა იცოდე კარგად, გამოგადგება თუ არა ის?

● თეატრი, ფეხბურთი, მაყურებელი!.. მაყურებელი, ამ ორი მუზის მოჭირნახულე და ყველაზე პირუთვნელი მსაჯული... მაყურებლის შიში თუ გქონიათ სცენაზე?

— ერთხელ, შილერის „მარია სტიუარტში“ ქალბატონ სესილიასთან მომიხდა ეპიზოდურ როლში თამაში. მე ქალბატონი სესილიას ხელი მეჭირა. სცენაზე რომ გავდიოდი მთხოვა ხელი მომიჭირეო. მე მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და არ ვიცოდი იმდენად რა იყო შიში. ქალბატონი სესილია კი ცახცახებდა... როცა დიდი სიყვარული გაქვს შენი საქმის, ყოველთვის კრძალვით, ყოველთვის პატივისცემით ეკიდები მაყურებელს. ასეთი გრძნობით გამოდიოდნენ მინდორზე პაიჭაძე, იამანიძე, ყიფიანი...

● განსხვავებაც იქნება ალბათ, თეატრისა და ფეხბურთის მაყურებლებს შორის.

— მხოლოდ ერთხელ მივამსგავსე ჩვენი აუდიტორია ფეხბურთის აუდიტორიას. „საბრალდებულო დასკვნაში“ გივი ბერიკაშვილის გამოჩენა დარბაზში სიცილ-ხარხარს იწვევდა. თეატრში ასეთი რამ იშვიათად ხდება. ფეხბურთის მაყურებელი კი ყოველთვის აშკარად გამოხატავს ემოციებს.

● მარჯანიშვილის თეატრში ყველაზე პოპულარული, ალბათ, მაინც ფეხბურთია...

— პოპულარული ცოტაა ამის გადმოსაცემად. როცა ჩვენი სპექტაკლები და „დინამოს“ მატჩები ერთ დროს იწყება, მაშინ უნდა ნახოთ რა დღეში ვართ. ყველა იმ მსახიობს ვუცდით მოუთმენლად, ვინც მოგვიანებით გამოდის სცენაზე... ერთხელ ასეთი კურიოზიც მოხდა: ისე შევიდა კოტე მახარაძე როლში, იმის მაგივრად, რომ ეთქვა: „კუბო საფლავში ჩაასვენეთო“, დაიყვირა — „კუბოკი ჩაასვენეთ საფლავში!“. მას შემდეგ მართლაც აღარ გვინახავს ევროპის თასი.

● მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა თუ მოინდომეს...

— როგორ ვნანობ ვერ წარმოიდგენთ ბულგარეთის „ლოკომოტივთან“ თამაშს რომ არ დავესწარი. ლამაზი თამაში უჩვენა „დინამომ“ — შემტევი, გააზრებული, ცეცხლოვანი... კარგად მოიყვანა კოტე მახარაძემ ამ რეპორტაჟში მარკ ტვენის სიტყვები: „ჭორი ჩემი სიკვდილის შესახებ გაზვიადებულია...“

● 12 ოქტომბერს ბულგარეთში მიემგზავრება საგასტროლოდ მარჯანიშვილის თეატრი...

— ჩვენი თეატრის დირექტორმა ბურთიც იშოვნა დინამოელების ავტოგრაფით, სუვენირი იქნება იქაური თეატრის დირექტორისთვისო, რომელთანაც დიდი მეგობრობა აკავშირებს. რაც შეგვეხება ჩვენ, თეატრი მზადაა ბულგარელებთან მეორე რევანშისათვის.

ესაუბრა
ბონდო ჟურდაძე.

ევროპის საკლუბო ტურნირები
მატჩის ეჭო

„წაგება გარდაუვალი იყო!“

სოფიის გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ ფურცლებზე

სოფიის სპორტული გაზეთი „ნაროდენ სპორტი“ დიდ ყურადღებას უთმობდა ბულგარეთის დედაქალაქის საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივისა“ და თბილისის „დინამოს“ ოცდამეთორმეტედფინალურ შეხვედრას უეფა-ს თასზე. ის, რაც ამ გაზეთში დაიბეჭდა, დღეისთვის, შესაძლოა, ჩვენს მკითხველებს პრინციპულად ახალს არაფერს ეუბნება, მაგრამ ორი მატჩის პერიპეტიების გახსენება, ვფიქრობთ, მაინც საინტერესო უნდა იყოს.

სოფიაში პირველი მატჩის შემდეგ „ნაროდენ სპორტმა“ 19 სექტემბერს გამოაქვეყნა თავისი შიმომხილველის რუბენ პაიტაშევის ანგარიში.

რ. პაიტაშევს მოჰყავს მატჩის კომისრის, ფიფა-ს ცნობილი მოღვაწის შანდორ ბარჩის (უნგრეთი) აზრი: „ეს ევროპული დონის კარგი მატჩი იყო. სასიამოვნოდ გამოაცქეს „ლოკომოტივის“ მოთამაშეებმა, რომლებმაც თანამედროვე ფეხბურთი გვაჩვენეს. მე მჯერა, რომ „ლოკომოტივი“ უეფა-ს თასის გათამაშების შემდეგ წრეში გავა, ვულოცავ მწვრთნელს ა. ჩაჩევსკის, რომლის გუნდს დიდი მომავალი აქვს“. შემდეგ რ. პაიტაშევი დასძენდა: „ეს ჩვენი გუნდის თამაშის ავტორიტეტული შეფასება და დამსახურებული შექება გახლავთ. „ლოკომოტივმა“ ბულგარეთის კლუბების მძიმე ოთხშაბათის შემდეგ („სრედეცმა“ ამ დღეს მიუნხენში წააგო „ბაიერნთან“ — 0:4, ხოლო „თრაკიამ“ ბელგრადში „ცრვენა ზვეზდასთან“ — 0:3) ღირსეულად ითამაშა ევროპული საკლუბო ტურნირების ამ „პირველ ტაიმში“.

შემდეგ ვკითხულობთ: ლოკომოტიველებს ნამდვილად ეკუთვნოდათ აპლოდისმენტები, ისინი არ „აუცილებია უსიამოვნო სიურპრიზს ვ. ტჩის დასაწყისში, როცა დინამოელებმა შემტევი თამაში შესთავაზეს. ეს ხომ დამახასიათებელი არ არის გუნდებისთვის, რომლებიც მეტოქის მინდორზე გამოდიან.

რ. პაიტაშევი შეეხო მატჩისშემდგომ პრესკონფერენციას, სადაც თბილისელთა მწვრთნელმა გერმან ზონინმა აღშფოთება გამოთქვა იუგოსლავიელი არბიტრის ვასო ვუიოვიჩის მსაჯობით.

მიმოხილვა ასე მთავრდება: „რას გვაძლევს ეს 3:1? აპოსტოლ ჩაჩევსკიმ განაცხადა: „ავანსი ბევრიც არის და ცოტაც. მე ყველა მოთამაშით კმაყოფილი ვარ. თბილისში ძნელი მატჩი მოგველის“.

1 ოქტომბერს გაზეთმა გამოაქვეყნა თბილისში მყოფი იმავე მიმომხილველის რ. პაიტაშევის ანგარიში ასეთი სათაურით: „3:0. დამარცხების თავიდან აცილება შეუძლებელი იყო“. აი, ზოგიერთი საინტერესო ნაწყვეტი: „სულ 17 წუთი აშორებდა „ლოკომოტივს“ მეორე წრეში გასვლას, მაგრამ აშკარად იგრძნობოდა უსიამოვნო ფინალის მოახლოება. ყველაფერი პირველ წუთიდანვე მწვავედ დაიწყო. პლამენ ნიკოლოვმა (რა შავი დღე დაუდგა ამ შესანიშნავ მეკარეს!) ვირტუოზულად იხსნა კარი 11-მეტრიანი დარტყმის შემდეგ, რომელიც შენგელიამ შეასრულა. წარმოუდგენელი ფსიქოლოგიური მომენტი, რომელიც სამწუხაროდ, გამოუყენებელი დარჩა. „ლოკომოტივმა“ სრულიად გაუმართლებლად აირჩია დაცვითი ტაქტიკა და მეტოქეს საშუალება მისცა გონს მოსულიყო ესოდენ მოულოდნელი დასაწყისის შემდეგ... ნიკოლოვის კართან ყველაფერი დუღდა და გადმოდუღდა“. პაიტაშევი წერს, რომ ნიკოლოვმა ბრწყინვალე თამაშით მოხიბლა „60 ათასი მაყურებელი, რომელიც ჩინებულად ერკვევა ფეხბურთში“, „ფანტასტიკური ნახტომებით იხსნა კარი შენგელიას, ცვეიბას, გურულიასა და აჯოვეის დარტყმების შემდეგ“.

3 ოქტომბერს „ნაროდენ სპორტმა“ გამოაქვეყნა თბილისიდან დაბრუნებული რ. პაიტაშევის სტატია, რომელსაც „ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის ბოლოსიტყვაობა“ უწოდა.

„გამარჯვებაც ამას ჰქვია!“ — ასე დაასათაურა წერილი ქართულმა სპორტულმა გაზეთმა „ლელომ“. „კარგა ხანია თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ამდენი მაყურებელი არ გვინახავს. გუშინ კვლავ აივსო ტრიბუნები“.

რ. პაიტაშევ[illegible] „[illegible]ში არავის კუსურვებდა აპოსტოლ ჩაჩევსკის მდგომარეობაში ყოფილიყო. „[illegible] „[illegible] როდ[illegible] [illegible]ულ მანქანას ჰგავდა, სადაც თითოეული [illegible] [illegible] აწყვეტილ[illegible] [illegible] შესანიშნავად რომ არ ეთამაშა, უფრო დიდი ანგარიშითაც წაგებდით. მეტისმეტად გამიცრუა გული თავდასხმის თამაშმა. ბულგარეთის პირველობაზე მას ყველა მატჩში გაეჭვა გოლი, ამ შეხვედრაში კი გაბელიას ერთხელაც ვერ შეუქმნია რაიმე საფრთხე. თბილისში რომ შანდორ ბარჩი ყოფილიყო, იგი ვერც კი იცნობდა იმ მოთამაშეებს, ორი კვირის წინ რომ ასეთი მაღალი შეფასება მისცა და მეორე წრეში გასვლა უწინასწარმეტყველა. ბონჩევი, პეტკოვი და სტოევი ცნობილი იგივის გედს, კიბოსა და ქარიყლაპიას წაგავდნენ, მინდვრის შუაგული თითქმის უბრძოლველად დავთმეთ, დაცვა ვერ უძლებდა განუწყვეტელ შეტევებს და შეცდომა შეცდომაზე მოსდიოდა... მინდორზე ძალთა აშკარა უთანაბრობა იყო. ფეხბურთს თავისი ლოგიკა აქვს და „ლოკომოტივი“ ამაოდ ცდილობდა მისი უარყოფას. იგი ვერაფერს გახდა!“.

მიმოხილვა მოამზადა
გივი თოთრელმა.

ფეხბურთი ● ● ●

შეუძლებელი უნდა შეძლოს

(დასასრული)

ირჩევდა) და ნახევარმცველთა წყვილი. ამ უკანასკნელთ ბურთი სტანდარტული მდგომარეობიდან ერთობ მოუხერხებლად გამოჰქონდათ. ასე რომ, ქუთაისელებმა თავად შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი საკუთარი კარის ხაზთან, მაგრამ სწორედ აქ გამოჩნდა მათი ლიდერების მაღალი ოსტატობა. ნახევარმცველთა მორიგი „ჩავარდნის“ შემდეგ ხარშილაძემ ბურთი საკუთარი კარის წინ აიღო მიწიდან და ბურთის აუტში გადაგდების ნაცვლად იერიში წამოიწყო. მას წამოეშველნენ ლიპარტელიანი და ნემსიწვერიძე, ქუთაისელმა რეგბისტებმა ბრწყინვალედ გაარღვიეს მონინოელთა დაცვა და ოციოდე მეტრი დააკლდათ მათს კარის ხაზამდე. მასპინძლებს გული მიეცათ, ისე ათამაშდნენ, როგორც ჩვეულებრივ ხოლმე. მორკინალებმა ზედიზედ რამდენჯერმე შეინარჩუნეს საცილოდ გამხდარი ბურთი და ერთ-ერთი მოლის შემდეგ, შვანგირაძის გარღვევას რომ მოჰყვა, ქუთაისელთა ახალბედა გარე ნახევარმცველმა კახა მაჩიტიძემ 30 მეტრიდან მოულოდნელად დიდებულად დაარტყა არეკნით — 3:0.

ქუთაისელებმა თავიანთ თამაშს „მიიგნეს“ და მეორე ტაიმში იერიშს იერიშზე ანხორციელებდნენ. მაჩიტიძემ კიდევ ერთხელ გაიტანა ბურთი არეკნით. ამას მასპინძელთა შტურმი მოჰყვა. ისინი სახიფათოდ უტევდნენ, როგორც მოგებული სტანდარტული მდგომარეობების, ისე მონინოელთა იერიშების ჩაშლის შემდეგ. შესაშური თავდადებისა და მაღალი ინდივიდუალური ოსტატობის გარდა ქუთაისელებმა თამაშის მოსაწონი გააზრებაც გვიჩვენეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ შესვენების შემდეგ მათმა სამმეოთხედელებმა მხოლოდ სამჯერ გაათამაშეს ბურთი, მაგრამ ისე მარჯვედ, რომ სტუმრები სამივეჯერ სასწაულით გადაურჩნენ ლელოს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ლიპარტელიანის ორი ფრიად ორიგინალური „სვლა“. კლასიკური იყო ქუთაისელთა მიერ გატანილი ლელოც: მეტოქის 22-მეტრიან მოედანზე მოგებული შერკინების შემდეგ ლოსაბერიძემ მოკლე ფრთაზე შუტია, მას კვალში მიჰყვნენ მცველი და ფრთის სამმეოთხედელი, რამაც მონინოელები მეტად დააბნია; ლოსაბერიძემ ბურთი მათ ნაცვლად ისევ მოედნის სიღრმეში დაუბრუნა წამოსწრებულ მეაამე ხაზის მორკინალებს და ნაჭყიბიამ ლელო გიტანა. ამის შემდეგ სტუმრები გამეცადინდნენ, თითქოს ინიციატივაც იგდეს ხელთ, მაგრამ იმდენად უგერგილოდ და არასწორად უტევდნენ, რომ მათი ყოველი იერიში წამოწყებისთანავე იფუშებოდა.

სუპერფინალის გადამწყვეტი მატჩი მონინოს სტადიონზე გაიმართება ხვალ და იქ „შეენებელმა“ შეუძლებელი უნდა შეძლოს...

ზაზა ფხაკაძე,
თამაზ ხარაბაძე.

ᲥᲘᲨᲘ

ᲛᲔᲤᲘᲡ მოკლის მუქარა — ქიში საპადრაკო ბრძოლის არსებითი იარაღია და მას მოთამაშეები ხშირად იყენებენ როგორც აგრესიის, ისე დაცვის მიზნით. საპადრაკო კომპოზიციაც მას სრული დატვირთვით იყენებს, ხოლო ზოგჯერ სწორედ ქიშის იდეაზე აგებს ნაწარმოების შინაარსს. ასე მაგალითად, თუ ეს ტაქტიკური ხერხი ამოცანაში რამდენჯერმე მეორდება, იგი ავტორმა სიუჟეტის მთავარ ღერძად შეიძლება აქციოს. კომპოზიციაში ქიშის თემის ბევრნაირი ვარიაცია გვხვდება.

Ი. ᲰᲐᲠᲢᲝᲜᲒᲘ, 1925



შამათი 2 სვლაში

ამ ორსვლიან ამოცანაში, რომელიც ჰოლანდიელ პრობლემისტს ეკუთვნის, ქიში შავების დაცვის მთავარი იარაღია. მოჩვენებით თამაშში (იგი თეთრების პირველი სვლის გარეშე მიმდინარეობს) სამი თემატური ვარიანტია გამოკვეთილი: 1. ...ᲚᲐ6+ 2. კc4×, 1. ...ᲚF5+ 2. კe4×, 1. ...ᲚH3+ 2. კF3×, სადაც შავი ლაზიერის „მომაკვდინებელ“ სვლებს თეთრი კუ შამათებით პასუხობს. მაგრამ ნამდვილ თამაშში ამ ვარიანტების გატარება შეუძლებელია, ვინაიდან თეთრებს ტემპო-სვლა არ გააჩნიათ. ამიტომ მათ სხვა საშამათო გზები უნდა მოძებნონ. აი, ისიც — 1. ლb2! ახლა ირკვევა, რომ შავებს ისევ შეუძლიათ დაცვის მიზნით ქიშების გამოყენება, მაგრამ ლაზიერის იმავე „მომაკვდინებელ“ სვლებს პასუხად ახალი შამათები მოსდევს: 1. ...ᲚA6+ 2. მb5×, 1. ...ᲚF5+ 2. მd:f5×, 1. ...ᲚH3+ 2. მF3×. გაჩნდა დამატებითი ვარიანტიც — 1. ...მფf6 2. მe6×. ისეთ ვითარებას, როცა ქიშს სპასუხოდ ქიში (ან შამათი) მოსდევს, **ჯვარედინი ქიში** ეწოდება. სწორედ ეს თემაა განხორციელებული ი. ჰარტონგის ამოცანაში.

ლოგიკური სტილის ამოცანაში გვხვდება ე. წ. „პროვოცირებული“ ქიშის მექანიზმი. ამ შემთხვევაში თეთრები მეტოქეს აიძულებენ ქიშით თამაშს, რაც, როგორც ირკვევა, ასუსტებს შავების პოზიციას.

З. ᲨᲐᲞᲔᲥᲜᲘᲜᲘ, 1954



შამათი 5 სვლაში

ამ ხუთსვლიან ამოცანაში თეთრების მთავარი გეგმა (1. მფh6 მფf8 2. ლd8+ მფf7 3. მg5×) უმალ ვერ განხორციელდება, ვინაიდან შავ კუს „არ სძინავს“ — მას ქიშების გამოსაცვლელად შერჩენილია. ამიტომ საჭიროა ეს გეგმა მომზადდეს. ეს ვისაზეადებელი თამაშის ბოლო — ია, რომ შავებმა პროვოცირებული ქიშები გამოაცხადონ: 1. მფf6! კb2+ 2. მფg6 d2+ 3. მფh6! თეთრებმა მიზანს მიაღწიეს — საშიში ქიშები (კf8+ და კc1+) მოისპო და წინასწარ დასახული გეგმის შესრულება უკვე შეიძლება.

მართალია, ქიშს კომპოზიციაში მრავალნაირი გამოყენება აქვს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ქიშით ამოცანის დაწყება ესთეტიკურად გამართლებული არ არის. ეს დასაშვებია მხოლოდ ეტიუდში, რომელიც თავისი ფორმითა და შინაარსით პარტიის დაბოლოებას უახლოვდება. მხოლოდ ზოგჯერ (მრავალსვლიან ამოცანებში), თუ ამას ნაწარმოების სპეციფიკა მოითხოვს, ავტორმა შეიძლება ამოხსნა ქიშით დაიწყოს.

ამოსახსნელად გთავაზობთ ინგლისელი პრობლემისტის ორსვლიან ამოცანას, რომლის თემის დასახელებაც არ უნდა გაგიძნელდეთ.

Ბ. ᲑᲐᲠᲜᲔᲡᲘ, 1959



შამათი 2 სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

ᲐᲛᲝᲮᲡᲜᲐ

„ლელოს“ 27 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი კ. ვოიტილას ორსვლიანი ამოცანა შემდეგნაირად იხსნება: 1. ლa7! იქვე დაბეჭდილი მ. ვრუბელის სამსვლიანი ამოცანის ამოხსნაა: 1. ეe8! კb6 2. ეb8, 1. ...კc5 2. ეe5, 1. ...კd4 2. ეe4. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც ყველაზე ადრე გამოგზავნა პასუხები: რ. კახიძე (ბათუმი), რ. გურული (ქვ. საქარა, ზესტაფონის რ.), მ. სუპატაშვილი, ს. იობიძე (ორივე — ქუთაისი), ვ. შავგულიძე, ო. მამულაშვილი, ს. სუბელიანი, ნ. ბერძენიშვილი (ყველა — თბილისი).

რედაქტორი
თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ

„ᲘᲖᲕᲔᲡᲢᲘᲐ“ — 4 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. „საფეხბურთო კონტრაქტი“. ინტერვიუ დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ კლუბის თავმჯდომარესთან გ. ჟიზდიკთან. **7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.** „ფეხბურთის სიახლეები“. საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს შეხვდნენ საკავშირო სპორტსაბკომის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ვ. კოლოსკოვი და სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი. **8 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.** „პირველად კალათბურთის ისტორიაში“. 23-25 ოქტომბერს საბჭოთა კალათბურთელები პირველად შეხვდებიან ამერიკელ პროფესიონალებს ქალაქ მილუოკიში (აშშ).

„ᲢᲠᲣᲓᲘ“ — 6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. „ფეხბურთის კეთილი სახელი“. ფეხბურთელებისა და გულშემატკივრების ურთიერთდამოკიდებულებაზე გვესაუბრება რინატ დასაევი. **7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.** „სევილიის მატჩის წინ“. კორესპონდენტის შეკითხვებს პასუხობს მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში გარი კასპაროვი.

„ᲡᲝᲕᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ“ — 4 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ცნობილი მძლეოსნის, რობერტ ემიანის შესახებ მოგვითხრობს ს. ვიშნიაკოვი წერილში „უცნობი ემიანი“. **6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.** „შევჩერდეთ, სანამ გვიან არ არის“, ანუ იმის შესახებ, თუ როგორ „გავფანტოთ“ თამბაქოს კვამლი. **6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.** ბრაზილიური ფეხბურთის პრობლემებზე მოგვითხრობს ვ. პარხიტკო წერილში „ქრებიან „ვარსკვლავები“... **10 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.** „კალმის წვერზეა აქტუალური პრობლემები“. ამ რუბრიკას გაზეთი პირველი გვერდის ნაწილსა და მთელ მეორე გვერდს უთმობს. სჭირდება თუ არა ფეხბურთს ასეთი გულშემატკივრობა? **10 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ.** „საკუთარი ლეგენდის ტყვეობაში“. პროფესიონალურ კრივში ძნელად თუ მოიძებნება კასიუს კლეის მსგავსი პიროვნება.

ᲜᲐᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ქართველი მოჭადრაკე ქალის, დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას დახატვა არაერთ ფერმწერს უცდია.

ახლახან საშუალო თაობის მხატვარმა შალვა მამისეიშვილმა ნანა ალექსანდრიას საინტერესო გრაფიკული პორტრეტი შექმნა.

სურათიდან შემოგვცქერის დიდოსტატი, რომელმაც თითქოს ესესაა დაამთავრა თამაში, მაგრამ მისი ფიქრები კვლავ ჭადრაკის დაფას დასტრიალებენ.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲜᲐᲪᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ᲓᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲐ

ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘ დამთავრდა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 29-ე გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც 16 გუნდი მონაწილეობდა (თითოეულის ღირსებას 4-4 ვაჟი, თითო ჭაბუკი, ქალი და გოგონა იცავდა).

ტურნირში, რომელიც წრიული სისტემით ჩატარდა, გუნდური ჩათვლის გარდა მოჭადრაკეები 20 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის პირველობის მოსაპოვებლად იბრძოდნენ.

ტურნირში 112 მოჭადრაკე იბრძოდა. აქ იყვნენ ცნობილი დიდოსტატები ვ. ტუკმაკოვი, გ. ტიმოშჩენკო, ს. სუტიანი, ვ. ჩეხოვი, ლ. ზაიცევი, აგრეთვე, 15 საერთაშორისო ოსტატი და 45 ოსტატი.

69,5 ქულით I ადგილი დაიკავა ციმბირის სამხედრო ოლქის ნაკრებმა, II ადგილზე გავიდა შუა აზიის სამხედრო ოლქის გუნდი — 63,5 ქულა, III ადგილი წილად ხვდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაკრებს (მწვრთნელი ჰენრიხ არნშტეინი) — 61 ქულა. ამ გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ (დაფების მიხედვით): საერთაშორისო დიდოსტატი ს. სუტიანი, ოსტატი ა. აპასტასიანი, ოსტატი რ. კორსუკსკი, ოსტატობის კანდიდატები თ. ტაბატაძე, ხ. სუპატაშვილი, ოსტატი ნ. მელაშვილი, ოსტატობის კანდიდატი ც. მერეკლიშვილი.

კარგად ითამაშა თამაზ ტაბატაძემ, მან 15 შესაძლებლიდან 11,5 ქულა მოაგროვა და თავის დაფაზე I ადგილი დაიკავა. თამაზმა გაუსწორო 6 ოსტატს, რამდენიმე ძლიერ ოსტატობის კანდიდატს და ოსტატობის ნორმაც შეასრულა.

ხვიჩა სუპატაშვილმაც არაერთი ძლიერი მოჭადრაკე დაამარცხა. თავის დაფაზე, ოსტატების მიხეილ სევპერისა და ვასილი ივანჩუკის შემდეგ, მან III ადგილი დაიკავა.

გოგონებიდან კარგი შედეგი აჩვენა ცირა მერეკლიშვილმა —15-დან 11 ქულა მოაგროვა და თავის დაფაზე III-IV ადგილები გაიყო.

ᲕᲐᲮᲘᲚ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ.

ᲐᲚᲔᲜ ᲞᲠᲝᲡᲢᲘ ᲘᲛᲔᲓᲡ ᲐᲠ ᲙᲐᲠᲒᲐᲕᲡ

მსოფლიო ჩემპიონმა, ფრანგმა ავტომრბოლმა ალენ პროსტმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ 1987 წლის ჩემპიონატის საუკეთესო სპორტსმენად იგი აღიარებს „ვილიამს ჰონდას“ ორ ავტომრბოლს, ბრაზილიელ ნელსონ პიკეს და ინგლისელ ნაიჯელ მენსელს. ამავე დროს პროსტმა თქვა, რომ მას ჯერ კიდევ აქვს შანსი მესამედ მოიპოვოს მსოფლიო ჩემპიონის წოდება.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 11 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. რიტმული ტანვარჯიში—**9.30 (1)**; „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.15 (1)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **0.10 (1)**.

12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **20.15 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში — **1.20 (1)**.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ“ 42-Ე ᲢᲘᲠᲐᲟᲘ (17 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ)

	ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ		
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)			
1. „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)	30	40	30
2. „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — ცსკა	50	30	20
3. „გურია“ (ლანჩხუთი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი)	70	10	20
სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)			
4. „დინამო“ (სტავროპოლი) — „დინამო“ (ბათუმი)	70	20	10
5. „შინიკი“ (იაროსლავლი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	50	30	20
6. ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — ასკ (როსტოვი)	60	20	20
7. „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)	40	20	40
8. „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „პამირი“ (დუშანბე)	60	20	20
9. „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი)	70	10	20
10. „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ფაკელი“ (ვორონეჟი)	60	30	10
სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში (უმაღლესი ლიგა)			
11. „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა ვმფ ქ. ბაკო	50	20	30
სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)			
12. „ტორპედო“ (გორკი) — ასკ (ლენინგრადი)	40	30	30
13. „ტორპედო“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (რიგა)	30	20	50

საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდიუმი იუწყება, რომ გარდაიცვალა წყალსათხილამურო სპორტის ვეტერანი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი

ალექსანდრე აკაკის ძე სანაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

„ᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66405

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08031